



საქართველო  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 4  
01/02/2017

4-06-4-201702011733



განკარგულება N4  
2017 წელი, 1თებერვალი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი  
ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის  
მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილების და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

**მუხლი 1.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ერთეული სამგზავრო მიკროავტობუსის „MERSEDES-BENC-SPRINTER“ (ს.ნ. SBB – 558) საქველმოქმედო ასოციაცია „გურია“-სთვის დროებით სარგებლობაში (ასოციაციის არსებობის ვადით), უსასყიდლოთ, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვნის ფორმით, გადაცემისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცეს თანხმობა.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო